Печатается съ разрѣшенія и благословенія Высокопреосвященнѣйшаго Флавіана, Экзарха Грузіи. Архіепископа Карталинскаго и Кахетинскаго. 18-го Февраля 1899 года.

ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა

ანტონ მესვეტისა,

საკვირველთ-მოქმედისა მარტყოფელისა.

ე. კ.

ტფილისი, 1899 წ.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

ცხოვრება და მოძღვრებანი ღირსისა მამისა

ანტონ მესხეთისა,

საკვირველთ-მოქმედისა მარტყოფელისა [1])

ირსი და ღმერთ-შემოსილი მამა ჩვენი ანტონი მარტყოფელი იყო ერთი ათ-ცამეტთა ასურელთა, ანუ კაბადოკიელთა [2]) მამათაგანი. მამა ანტონის მოძღვარი და მასწავლებელი იყო წმიდა იოანე ზედაზნელი; ამ გამოცდილის მოძღვრის ხელმძღვანელობით მოღვაწეობდა მამა ანტონი ჯერ ისევ თავის სამშობლო-ქვეყანაში კაბადოკიაში. კაბადოკია ძრიელ ადრე გაქრისტიანდა და სახელი გაითქვა თვისთა შვილთა სამისიონერო მოღვაწეობით; იგი გადაიქცა სამისიონერო მანაკად იმათთვის, ვინცა იმოფენებოდნენ ბნელსა და ჩრდილთა საკუდაღისთა [3]). ძკვიდრნი მცხოვრებნი კაბადოკიისა—მესხნი, ხალიბნი, კოლხნი, იბერნი, ისპირელნი და სხვანი, როგორცა სჩანს მოსე წინასწარმეტყველის, ეგვიპ-

---

[1]) მარტყოფის მონასტერი იმყოფება თბილისიდან ოცი ვერსის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთად.

[2]) სპარსელთ ომების დროს პირველად ჩნდება სახელწოდება კაპადოკიისა, რომელსაც ბერძნებმა შემდეგ დაარქვეს ასურეთი.

[3]) იხილე ისტორიული მონოგრაფია „წმინდა მოციქულთ-სწორი ნინო, განმანათლებელი საქართველოსი." მწყემსი 1889 წ. № 6 შენიშვნა 2.

ტელთა ძველ მატიანედან, ასირიელების წარწერებიდან და ძველ საისტორიო ნაწერებიდან; იმავე ჩამომავლობისა იყვნენ ქართველნი – ქართლოსიანები. ეს ეხლა ჭეშმარიტება არის, დამტკიცებული და დამყარებული ახალის ყოვლად სარწმუნო ფაქტებითა. [4]) ამ ერთ-ტომობითა და ნათესაობით აიხსნება ის ისტორიული ამბავი, რომ მისიონერები მოდიოდნენ ჩვენში კაბადოკიიდან. წმ. ნინო განმანათლებელი საქართველოსი კაბადოკიელი იყო. მთავარ-მოწამე გიორგი, პატრონი საქართველოსი და განსაკუთრებით პატივცემული ქართველთაგან აგრეთვე კაბადოკიელი იყო. საქართველოს ეკლესიაც პირველში მიწერილ იქმნა იმავე ანტიოქიის საპატრიარქოს [5]), რომელიც იმყოფებოდა კაპადოკიის საზღვართა შორის და საიდანაც მოდიოდნენ ჩვენში პირველნი მღვდელთმთავარნი ტ მოძღვარნი ეკკლესიისანი. გრიგოლ ღვთისმეტყველი — განმანათლებელი არაგვის ხეობისა [6]) კაბადოკიიდან იყო მოსული; იქიდგანვე მოვიდნენ ათ-ცამეტნი მამანიცა.

---

[4]) იხილე წიგნაკი პროფესორის დ. ი. ჩუბინაშვილისა, „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა მკვიდრთა კაპადოკიისათა" და გამოკვლევა პროფესორის ა. ს. ხახანაშვილისა „Древн. пред. раз. груз. по малой Азіи. Москва 1890 г.

[5]) დღემდე ანტიოქიის პატრიარქის ტიტული ასეთია „პატრიარქი ღვთის ქალაქისა ანტიოქიისა, ასურეთისა, ი ვ ე რ ი ი ს ა, კილიკიისა, მესოპოტამისა და სრულიად აღმოსავლეთისა." მოგზაურობა მურავიოვისა წმ. ადგილებში, ნაწილი მეორე გვ. 199.

[6]) ბოდორნის სახარებაში, რომელიც დაწერილია მეთხუთმეტე საუკუნეში, წმ. გრიგოლი ნაზიანზელი ირიცხება არაგვის განმანათლებელად; მის სახსოვრად წმ. მეფე დავით აღმაშენებელის დროს დაწესებული იყო ლიტანიობა ქ. დუშეთში. იხილე „Описаніе Душета" იოსელიანისა, გვ. 20—23. შენ-. 12.

მეექვსე საუკუნეში ანტიოქიის მიდამოთა შორის, როგორც მოწმობს ჩვენი საეკლესიო მატიანე და მარტიროლოგია, აღმობრწყინდა ნეტარი იოანე ღვაწლ-შემოსილი, ვითა სხივ-მფენი რამ მნათობი, რომელსაც ყოველ მხრიდან ეტანებოდნენ ისინი, ვისაც სწყუროდა იმის ბრძნულ ხელმძღვანელობით წარმატებულიყო სულიერად და მიებაძნა მისთვის ბერ-მონოზნულის მოღვაწეობითა; მაგრამ თუ ანტიოქიაში აღორძინებული იყო ეკლესია ქრისტესი და თვითეულ მის წევრს შეეძლო უშიშრად და ცხადად ეღვიარებინა ქრისტე'ს სარწმუნოება. სამწუხაროდ ეს ასე არ იყო მაშინდელ საქართველოში, რომელსაც გარშემო ეხვივნენ წარმართნი ცეცხლის თაყვანის-მცემელნი და მწვალებელნი. ამ ნორჩის საქრისტიანო ეკლესიისათვის საუბედურო დროს საქართველოს ანუ ივერიაში დიდის გულ-მოდგინებით ერცელდებოდა ზორასტრის მოძღვრება, რომლის მფარველი და დამცველი იყო ყოვლად ძლიერი მაშინდელი სპარსეთი. მეექვსე საუკუნე და დასაწყისი მეშვიდისა განსაკუთრებით გაჭირვებული დრო იყო ახლად დანერგილის საქართველოს ეკლესიისათვის. თუ საჭირო იყო ოდესმე, სწორედ ეხლა იყო საჭირო ზნეობრივი და სარწმუნოებრივი შემწეობა და დახმარება.

კურთხეული ივერია მუდამ ღვთისა დედის ყოვლად წმინდის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, რომლის ფიქრიც გამუდმებულის მზრუნველობით თავს დასტრიალებდა საქართველოს. და მართლაც, დედამ ღმრთისამ, ამ დაუძინებელმა მეოხმა და მლოცველმა, რომელიც მოწყალე თვალით უცქეროდა თავის ხვედრს ქვეყანასა [1]), უბრძანა წმ. იოანეს: წადი

[1]) მეფე-ისტორიკოსი კონსტანტინე პორფიროგენეტი თვისს Troité de e'administration de e'Empire, რომელიც შეადგინა 952 წელს ამ-

შენის მოწაფეებითურთ ივერიაში და დაამყარე იქ წმ. სარწმუნოებაო. საქართველოს ერის მოწიწებით დაცულ თქმულებისამებრ, ყოვლად წმიდა დედოფალს წილად ხვდა ქვეყანა ივერიისა, როცა მოციქულებმა გაინაწილეს თავიანთ შორის სხვა და სხვა ქვეყნები ქრისტეანობის საქადაგებლად და ღვთის-მშობელმაც ანდრია პირველ-წოდებულისა და მოციქულთა-სწორის ნინოს შემდეგ სხვა ახალნი განმანათლებელნი მოიპოვა თვისის ქვეყნიურის ხვედრის განსამტკიცებლად ქრისტეს სარწმუნოებაზედ.

ღირსმა იოანემ სასწაულებრივ იხილა ყოვლად უბიწო დედა-ღვთისა, რომელმაც უბრძანა მოქცევა საქართველოსი. ამ ბრძანების აღსასრულებლად იოანე წამოვიდა საქართველოში თორმეტის თვისის რჩეულის მოწაფითა; ეს თორმეტნი მოწაფენი ჩვენს საეკლესიო საგალობლებში შედარებულნი არიან 12 ქვას, რომელნიც ამკობდნენ ძველის აღთქმის მღვდელ მთავრის შესამოსელს [8]). საქართველოში ღირსსა იოანეს გამოეცხადნენ ყოვლად-უბიწო ღვთის-მშობელი და წმ. ნინო და უბრძანეს: გაჰგზავნე შენი მოწაფენი ქართლსა და კახეთს სახარების საქადაგებლად და ქრისტიანობის გასავრცელებლად წარმართთ მთიელებშიო. იოანემ დაუყოვნებლივ

ბობს: „უნდა ვიცოდეთ ივერიის კურაპალატნი (მეფენი) თავს იქებენ და ამბობენ მეფე წინასწარმეტყველის დავითის ჩამომავალნი ვართო. იმათის აზრით ქართველთა მეფენი წარმომდგარან დავითის იმ შვილისაგან, რომელიც იყო მისი უკანონო ცოლის ურიისაგან ნაშობი, ამიტომ ყოვლად-წმიდა ქალწულის მარიამის ნათესავებათა სთვლიან თავიანთ თავს, რადგან ისიც დავითის გვარის შთამომავალი იყო.

[8]) იხ. მე-5 საგალობელი სტიქარონისა, რომელიც იგალობება 7 მაისს დიდის მწუხრის დროს.

აასრულა მათი წმინდა სურვილი, დაარიგა მოწაფენი თვისნი და გაჰგზავნა, საითაც გზა უჩვენა სულმა წმიდამ, რომელიც უწევდა ყოველ-გვარს ხელ მძღვანელობასა ივერიაში მოღვაწეობის დროს. და აი საკვირველი და სულის მაცოცხლებელი კაბადონი ღვთის სუფევის ისტორიისა გადაიშალა საქართველოში და კაცობრიობამ იხილა მიუწდომელნი და განუსაზღვრელნი გზანი ღვთის განგებისა და მადლობისანი!.

ერთი ამ ათ-ცამეტთა ახალთა მოციქულთაგანი და ივერიის განმანათლებელთაგნი ღირსი ანტონი, რომლის წმიდა ცხოვრებაც გვინდა გიამბოთ, გაემართა კახეთისაკენ სამოღვაწეოდ და სახარების საქადაგებლად. პირველად მან იქადაგა მთიელთა შორის ზედა-ზადენის მთის მიდამოებში და ბევრნიც დააყენა ჭეშმარიტს გზაზედ ღა დანათლა კიდეცა [9]).

შემდეგ ანტონმა მოიარა ქადაგებით კახეთის სხვა და სხვა სოფლები და გადავიდა ზედა-ზადენის მთების კალთებზედ აღმოსავლეთად. აქ ინახულა თვისნი თანა-მოღვაწენი: ზენონ იყალთოელი, შიო მღვიმელი და იოსებ ალავერდელი და აირჩია თვისთა თანამგზავრებითურთ ერთი ხეობა, სახელ-დობრ ლოპატანისა და დასახლდა იქ დიდოელთა და საზოგადოდ ლეკთა მეზობლად. თვისის ღვაწლ-მოსილის წმიდა ცხოვრებითა და სასწაულთ-მოქმედებით მრავლად მოიპოვა მან ველურ მთიელებში მომხრენი და მოწაფენი, რომელთა-თვისაც მონასტერიც დააარსა ალაზანს გალმა. ხოლო თვითონ განმარტოვდა და დაბინავდა სოფელ ახმეტას ახლო; მაგრამ ამ განმარტოებაში დიდხანს არ დასტოვეს; ნეტარი მამა მალე

---

[9]) იხ. წესი მწუხრ-ცისკრისა და წირვისა ანტონ მარტმყოფელის პატივსაცემლად შედგენილი ქართულად.

მოსძებნეს ახლო-მახლო მცხოვრებლებმა, მალ-მალ დადიოდ-ნენ მასთან და ადიდებდნენ სასწაულთ-მოქმედებას, ქმნილს ანტონის მიერ ამ ახალს ბინაზედა.

აქედან ღვთის სასურველი ანტონი კვლავ წავიდა განსა-მარტოვებლად აკრიანის მთაზედ, რომელიც უტეხის და გაუ-ვალის ტყით იყო დაფარული. ეს ადგილი 30 ეჯის მანძილ-ზედ იქმნებოდა სამეუფო ქალაქს მცხეთიდან. თვით მთას დაერქვა მას აქეთ მთა მარტმყოფისა, ხოლო თვით ანტონს ეწოდა სახელი მარტომყოფელისა [10]) გარნა ლამპარი, ანთე-ბული დიდებულსა და სახილველად საოცარ მარტყოფის მთებზედ, დიდხანს არ დარჩა შეუნიშნავი. რამდენისამე ხნის შემდეგ, ანტონი იპოვეს მონადირეებმა, რომლებიც ფურ ირმებზედ წასულიყვნენ მთაში სანადიროდ [11]) და სწო-რედ ეს ფურ-ირმები ასაზრდოებდნენ წმ. მამა ანტონს თვი-სის რძითა.

მას უკან ეს ადგილი სანეტარო სამყოფი შეიქმნა იმათ-თვის, ვისაც სწყუროდა განდეგილობა და განდეგილობით ღვაწლ-მოსილობა. აქედან გამოდიოდა ნათელი ანტონის ყოვლად-ქველისა და მკაცრის განდეგილობით ალსავსე ცხო-ვრებისა და ეფინებოდა ახლად მოქცეულ ივერიელებს და ამტკიცებდა მათს სარწმუნოებასა. ღირსისა მამისა ანტონის ხორცთ-მოკვდინებით ცხოვრებამ, მისდა მიმადლებულმა ნიჭმა

---

[10]) იხ. გუჯრები მეფე დავით იმამ-ყული-ხანისა. აღწერა მარტმყო-ფის მონასტრისა პლ. იოსელიანისა, 1847 წ. გვ. 29—30.

[11]) ამიტომ არის, რომ ღირსისა ანტონის ხატზედ ჰხატავენ ირემს. საჭიროა აქვე შევნიშნოთ, რომ ძველ-საქრისტიანო სიმბოლიკაში ირემი სიმბოლია მოციქულისა, ცოდვის მომნანიებლისა, წმიდანისა. იხ.. Памятники Иконографіи и Искуства, Н. В. Покровскаго, გვ. 34.

საკვირველთ-მოქმედებისამ და სნეულთა კურნებამ მრავლად მიიზიდა მასთან ქრისტეანენი, რომელთაც აღავსეს იქაურობა ადგილ მისის განმარტოებით ყოფნისა ტ აგრედვე ‘ის-მიერ დაარსებული მარტყოფის მონასტერიცა. ღირსმა მამა ანტონმა დაა-წესა თვისთა რიცხვ მრავალ მიმდევართა და მოწაფეთა შორის წესი და რიგი, ხოლო თვითოეულ იქვე ახალ მონასტრის მახლობლად აირჩია ერთი განმარტოებული და ხრიოკი ადგილი მარტყოფის მთის მწვერვალზედ, აღმართა იქ კლდეზედ ქვითკირის სვეტი, ანუ კოშკი, თორმეტი ადლის სიმაღლისა პატარა ეკკლესიითურთ სვიმეონ მესვეტის სახელობაზედა და დანარჩენნი დღენი თვისის სიცოცხლისა განატარა ამ მაღალ სულის მალხინებელს სვეტზედ. მაგრამ მახლობელ სოფლების მცხოვრებნი აქაც უშლიდნენ ხელს მის განმარტოებას: ყველა მიისწრაფოდა საღმრთო სვეტისაკენ, ყველას სწყუროდა ელოცნა ხელთ-უქმნელი ხატი მაცხოვრისა. მრავალნი სნეულნი და უძლურნი მლოცავთა შორის ვედრებითა წმ. მამა ანტონისათა იკურნებოდა. 15 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ანტონი სვეტზედ ცხოვრებდა; ხოლო შემდგომად ღირსმა ანტონიმ დაუტევა ქვეყნიური ასპარეზი და აღვიდა ცად, საცა სდგას უზენაესის საყდრის წინაშე ჩვენდა ხსნის მეოხადა, მფარველად და მლოცველ-მავედრებლად [12]).

---

[12]) იხ. ცხოვრება ღირსისა ანტონი მესვეტისა, მარტყოფელის საკვირველ მოქმედისა, Полн. жизнь Свят. Грузинск. церкви. საბინინისა, ნაწ. III, გვ. 35—50; О праздн. устан. Прав. Грузин. Церкви დ. ფურცელაძისა. გვ. 59—61; Описаніе Мартикоб. Мон. Пл. Іосселіани, თბილისი. 1847 წ.; Груз. и Арм. მურავიოვისა, ნ. III, გვ 1—9; Кавказъ въ древ. Памят. Христ. დიმ. ბაქრაძისა,, გვ. 98—99; საქართველოს სამოთხე, საბინინისა, გვ. 293—300 და ქართლის ცხოვრება, ნაწ. 1, გვ. 156—159.

საფლავი მისის წმიდა ნეშტთა იმყოფება მის მიერვე დაარსებულს მონასტერში ჯანკელის ჩრდილო კარებს ახლო და დღემდე ჰკურნავს სასწაულებრივ ყველას, ვინც სარწმუნოებითა და სიყვარულით მიჰმართავს წმიდანის სამარხსა [13]). წმ. ანტონის პატივის-საცემლად მარტყოფის მონასტრის წინამძღვრებად ხშირად ინიშნებოდნენ ეპისკოპოსნი, ხოლო მე-XII საუკუნიდან აქ დასდეს ბინა რუსთავის ყოვლად-სამღვდელოთა, რომელთაც ჰქონდათ დროშა სარდლისა და ომიანობის დროს თავიანთის ჯარით ეჭირათ მარცხენა მხარე ლაშქრისა [14]).

ღვთის-მოშიში და ღვთის-მოყვარული ერი საქართველოსი იმ ადგილითვე ეთაყვანება წმ. ანტონ მესვეტეს [15]) და მაცხოვრის ღვთაებრივ ხელთ-უქმნელს ხატს, რომელიც ნებითა და განგებითა ღვთისითა მოსვენებულ იქმნა ივერიაში წმ. ანტონ მარტყოფელის „მესვეტეობისა სხივ-მრავალ მზისა“ მიერ [16]).

ჯერ ისევ მაშინ, ვიდრე ღირსი ანტონი წარმოემართებოდა ანტიოქიიდან ივერიაში მოსასვლელად სხვათა ღირსთა მამათა თანა, მან იცოდა, რომ ნესტორიანების ერთ-ერთს

---

[13]) იხ. Кавказ. Кален. 1852 წლ., გვ. 255 და Груз. и Арм. М. 6. III, გვ. 3.

[14]) ვახუშტი, გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი გვ. 304.

[15]) სადღესასწაულოში საგალობლის მე-4 მუხლში ღირსი მამა ანტონი იოანე წინამორბედსა და დიდს წინასწარმეტყველს ილიას არის შედარებული. იხ. საქართველოს სამოთხე, საბინინისა, გვ. 297.

[16]) იხ. მე-2 საგალობელი 7 მაისის დიდის მწუხრის სტიქარონისა.

ეკლესიაში ესვენა პირი ხელთ-უქმნელის ხატისა (უბრუსი) [17]), რომელიც გაუგზავნა იესო ქრისტემ ედესის ტოპარქს ავგარსა [18]) და იქვე იყო კეცი [19]) რომელზედაც სასწაულებრივ გადაიხატა ღვთაებრივი სახე მაცხოვრისა. ივერიაში წამოსვლამდე მამა ანტონმა ჩუმად აღილო ის კეცი, მიისვენა გულზედ და ისე გამოუდგა საქართველოს გზას. წმ. ანტონის სანეტარო გარდაცვალების შემდეგ ხელთ-უქმნელი ხატი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ესვენა მარტყოფის მონასტრის უმთავრეს ეკლესიაში მრისხანე თემურ-ლენგის შემოსევამდე, თითქმის მე-XIV საუკუნის გასვლამდე.

ამ დროს, როცა მთლად ქრისტიანენი ცეცხლისა და მახვილის წერად იყვნენ გამზდარნი, მარტყოფის ეპისკოპოსმა გიორგიმ († 1395 წ.) ფარულ ადგილას დაჰმალა ის ხელთ-უქმნელი ხატი; მაგრამ, როცა მონასტერი მტერმა დაიპყრო და თვით მღვდელთ-მთავარი გიორგიც მოკლულ იქმნა ქრისტეს ჯვარის მტერთაგან, ეპისკოპოსმა ველარ მოასწრო და ველარ ანიშნა მონაზონთა ძმობას, სად დაჰმალა ძვირფასი საუნჯე ქრისტიანობისა. დღესაც არავინ იცის, სად არის დამალული იგი საუნჯე. გიორგის შემდეგნი ეპისკოპოსნი და

---

[17]) საინტერესოა ამბავი წმ. მანდილისა, მოთხრობილი გადმოქართულებით და მოთავსებული ჯელათის სახარების ბოლოში. იხ. **Миніатюры Евангелія Гелатскаго Монастыря XII вѣка, И Покровскаго,** გვ. 52—57.

[18]) საქართველოს სასულიერო მახარებელი 1864 წლ. № 7 გვ. 51—57.

[19]) ამ აგურს საქართველოს მატიანეებში კეცი ეწოდებოდა: კეცი თიხის პურეელია, უყურო ტაფასა ჰგავს და საზოგადოდ ნიშნავს მასალას, რომელიც თიხის პურელის საწარმოებლად არის მომზადებული.

მარტმყოფის მონასტრის წინამძღვარნი ბევრსა სცდილობდნენ ეპოვნათ როგორმე ეს სიწმიდე, მაგრამ მათი ყოვლად კეთილი და პატიოსანი ცდა ამაო იყო. ტაძრის ერთს სვეტზედ დახატული იყო სახე მაცხოვრისა და ამ გარემოებამ მისცა საფუძველი ზოგს ეფიქრათ, რომ, ვითომ, ხელთ-უქმნელი ხატიც სწორედ იმ სვეტშია დაფარულიო; დააქციეს ის სვეტი, მაგრამ ხატი-კი მაინც ვერ იპოვნეს [20]). ბერ-მონაზონნიც ყოველ-გვარს აღთქმასა სდებდნენ და ჰმარხულობდნენ, იქნება ველირსოთ და ღმერთმა გვაპოვნინოს დამალული წმიდა ხატიო, მაგრამ ყოველივე ამაო იყო.

საქართველოს ეკლესია ძველთა დროთაგანვე აქებს და აღიდებს თვისს საგალობლებში ამ საკვირველ-მოქმედს ხატს და ამიტომ მიღებულია, რომ თვით ამ დიდად წმინდა ხატის მომტანი, ღირსი ანტონი იხატებოდეს ხელთ-უქმნელის ხატით გულზედ. ნამდვილი პირი ამ საკვირველ-მომქმედის ხატისა დასვენებული იყო მარტყოფის მონასტერში, ვიდრე გაუქმდებოდა ის მონასტერი. 1752 წელს დაღესტნის ონავარმა ლეკებმა დააქციეს მონასტრის გალავანი, შემუსრეს სრულიად თვით ღირსის ანტონის მონასტერიცა, მაგრამ საბედნიეროდ, ბერ-მონაზონებმა მოასწრეს ხელთ-უქმნელის ხატის პირი გადაერჩინათ. ეს პირი ჩამოასვენეს ტბილისში და დაასვენეს ნიშში, რომელიც ამ ხატისთვის საგანგებოდ იყო აგებული.

---

[20]) დიმ. ფურცელაძე სიმართლეს ძრიელ ახლოს დაშორებული, როცა ამტკიცებს, რომ ვითომ ის წმინდა ხელთ-უქმნელი ხატი მაცხოვრისა, ამ ჟამად ასვენია ტფილისის სიონის საკათედრო ტაძრის ეკედერშიო. იხ. მისი თხზულება: О правди. устан. Прав. Груз. Церк., გვ. 60. შენიშვნა მე-2.

1818 წელს საქართველოს ეგზარხოსის თეოფილაქტეს განკარგულებით, ეს ხატი გადაიტანეს სიონის საკათედრო ტაძრის ეკვდერში, საცა დღემდე ასვენია.

1823 წლის მიწის-ძვრით ჩამოიქცა გუმბათი მარტყოფის ეკლესიისა და დაზიანდა აღმოსავლეთის კედელი მონასტრისა და ამ გარემოებამ მოასწრაფა შემუსვრა მონასტრისა. ნეტარ-ხსენებულმა საქართველოს ეგზარხოსად ნამყოფმა მიტროპოლიტმა ისიდორემ, აღძრულმა საღმრთო გულ-მოდგინებით ღვთის ტაძრის სადიდებელად, განაახლა შემუსვრილი მონასტერი მარტყოფისა ქველ-მოქმედთა შეწევნითა 1847 წელს. დღეს ეს მონასტერი საეგზარხოსოს სახლს აქვს მიწერილი და საზაფხულო სამყოფად არის დანიშნული საქართველოს ეგზარხოსებისათვის.

ღირსისა მამისა ჩვენისა ანტონ მარტყოფელის საფლავის პოვნის შესახებ მოგვითხრობენ შემდეგს: როდესაც შეუდგნენ ეხლანდელ ეკლესიის აგებას, მაშინ არავინ იცოდა, სად იყო საფლავი ანტონისა, ეკლესიის რომელს კუთხესა და რომელს ადგილას. დაუწყეს ძებნა, მაგრამ ვერ იპოვნეს. შესწუხდა დიდად აწ განსვენებული იოანე მაკარაშვილი, რომელმაც დიდად იამაგა მარტყოფის ეკლესიის აგებისა და განახლებისათვის. ეგ იოანე მაკარაშვილი ნორიოში სცხოვრობდა და იქ ეპოვნა ერთი ღრმად მოხუცებული, უსინათლო კაცი, რომელსაც ეთქვა, რომ მე მახსოვს, სად იყო ძველს ეკლესიაში საფლავი და, თუ დამაყენებთ დასავლეთის მხრით, პირველ კარის შესავალთან, მერე თითონ მე მივალ იმ ადგილამდე, საცა მეგულება წმინდა ანტონის საფლავაო. დააყენეს მართლა იმ კარებთან და უსინათლო მივიდა ერთს ადგილამდე, საცა გაჩერდა და სთქვა: მონახეთ

ოქაო. მოსთხარეს და მალე გამოჩნდა გადაკირწყლული საფლავის თავი. იოანე მაკარაშვილმა მაინც გული ვერ დაა-ჯერა და გაატეხინა თალი. ამოიღეს რამდენიმე აგური და იხილეს ღირსი მამა ანტონი. იოანემ მოახსენა ეს ამბავი საზაფხულოდ იქ მყოფს საქართველოს ეგზარხოსს, განსვენებულს მიტროპოლიტს ისიდორეს, ვიპოვნეთ საფლავი თქვენო მეუფეაო. ისიდორე აღივსო სიხარულით, მიბრძანდა და იხილა განუხრწნელად მდებარე მამა ანტონი. ისიდორემ იქ მყოფთა-თანა თაყვანისცა წმ. ანტონის ნეშტს და გარდაიხადა მცირე ლიტია და დაეხურა საფლავს ძვირფასი ფარჩა. ეს საფლავი მდებარებდა წინანდელს დიდს ეკლესიაში ამბიონის წინ. მცირეოდნად მარჯვენა მხარეს, ხოლო ეხლანდელს ეკლესიაში ჩრდილოეთის მხარეს კიდურში.

მარტმყოფის მონასტერს ძველთა დროითგანვე დიდის მოწიწებით სცემს პატივს საქართველოს მართლმადიდებელი ერი, რომელიც მრავლად იკრიბება იქ სალოცავად 15 აგვისტოს ღვთის-მშობლის მიცვალების დღეს და 16 აგვისტოს ხელთ-უქმნელის ხატის დღეობასა და თვით მონასტერიც ხომ ამ ხატის სახელზედ იყო დაარსებული ღირსისა მამისა ჩვენისა ანტონის მიერ. საქართველოს ეკლესია, რომელიც ქებადიდებით იხსენიებს ანტონს, ვითარცა დიდებულს საკვირველთ მოქმედს და მესვეტის, განმანათლებელსა და შემამკობელს ზეციურის დედოფლის საღმრთო ხვედრისას. ამიტომ ჩვენმა ეკლესიამ დააწესა მის პატივ-საცემლად ცალკე დღესასწაული 19 იანვარს, იმის გარდა, რომელიც დაწესებულია 7 მაისს საზოგადოდ ათცამეტთა მამათათვის. ჩვენმა ეკლესიამვე შეადგინა ცალკე წესი ღვთის-მსახურებისა ამ დღისათვის, რომელიც შემდეგ შეავსო კათალიკოსმა ანტონ I-მა, ტფილელმა მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა და იოანე ფილოსოფოსმა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის გარდაცვალების 80 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ფონდ „ქართული ბიბლიოთეკის" ხელშეწყობით ხელმეორედ გამოსცა კირიონ II-ის გასულ საუკუნეში გამოქვეყნებული შემდეგი ნაშრომები

1. წმიდა დავით III აღმაშენებელი, მეფე ქართველთა (1089-1125)
2. ამბავი დავით გარეჯის უდაბნოს საკვირველ-მომქმედის მადლის ქვისა
3. ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა, საკვირველთ-მომქმედისა მარტყოფელისა
4. წმიდა მოწამე აბო ტფილელი



1



2

3



4

© 1998, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „ნეკერი"